საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური
STATE SECURITY SERVICE OF GEORGIA

SSG 3 22 00139036

05/08/2022

მოქალაქე ნინო ჩიფჩიურს

ქალბატონო ნინო,

თქვენი 2022 წლის 31 ივლისის განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ 2009 წლიდან 2022 წლის 1 აგვისტოს ჩათვლით, რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ, ე.წ. საზღვრის კვეთის ბრალდებით, უკანონოდ დააკავეს 3 365 პირი, მათგან 1 911 ოკუპირებული აფხაზეთის, ხოლო 1 454 - ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მიმართულებით. აღნიშნულთაგან, ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით, 2009 წელს უკანონოდ დააკავეს - 91 პირი, 2010 წელს - 114, 2011 წელს - 84, 2012 წელს - 192, 2013 წელს - 393, 2014 წელს - 375, 2015 წელს - 336, 2016 წელს - 193, 2017 წელს - 52, 2018 წელს - 28, 2019 წელს - 27, 2020 წელს - 13, 2021 წელს 11, ხოლო 2022 წელს - 2.

ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მიმართულებით, 2009 წელს უკანონოდ დააკავეს - 79 ადგილობრივი, 2010 წელს - 77, 2011 წელს - 140, 2012 წელს - 108, 2013 წელს - 139, 2014 წელს - 142, 2015 წელს - 163, 2016 წელს - 134, 2017 წელს - 126, 2018 წელს - 100, 2019 წელს - 86, 2020 წელს - 64, 2021 წელს - 70, ხოლო 2022 წელს - 26.

ასევე, გაცნობებთ, რომ რუსეთის საოკუპაციო ძალები საოკუპაციო ხაზის მიმდებარედ უკანონო ე.წ. ბორდერიზაციის პროცესს ახორციელებენ, რაც ხელოვნური ბარიერების, ღობეების, მავთულხლართების, ე.წ. საზღვრის აღმნიშვნელი ბანერების ინსტალაციას და მიწათხრილების, ტრანშეებისა და ე.წ. ხანძარსაწინააღმდეგო ხნულების მოწყობას გულისხმობს. აღნიშნული პროცესი რუსული ოკუპაციის შედეგს წარმოადგენს, რომლის ნიშნები 2009 წელს გამოვლინდა, ხოლო 2011 წელს აქტიური სახე მიიღო და დღემდე, სხვადასხვა ლოკაციაზე, განსხვავებული ინტენსივობით ხორციელდება.

საერთო ჯამში, 2008 წლიდან მოყოლებული, რუსეთის საოკუპაციო ძალის მიერ ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მიმართულებით 56 კმ-ზე მეტი სიგრძის მავთულხლართები, ღობეები და სხვადასხვა ხელოვნური ბარიერია გავლებული, ხოლო ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით ხელოვნური ბარიერების სიგრძე 49 კმ-ს აღემატება. უკანონო ე.წ.

საქართველო, ქ. თბილისი 0186, ვაჟა-ფშაველას გამზირი №72, ტელ. (+995 32) 2412023, (+995 32) 2412048
72, Vazha-Pshavela Avenue, Tbilisi 0186, Georgia, Tel.(+995 32) 2412023, (+995 32) 2412048
info@ssg.gov.ge

ბორდერიზაცია ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მიმართულებით ხორციელდება დუშეთის, ქარელის, კასპის, გორის, ხაშურის, საჩხერისა და ონის მუნიციპალიტეტების სოფლების გასწვრივ, ხოლო ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით - ზუგდიდისა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტების სოფლების მიმდებარედ.

პატივისცემით,

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის
ადმინისტრაცის უფროსის პირველი მოადგილე

დავით ქუთათელაძე